

თბილისისა და მისი შემოგარენის ტყის საფარის რეტროსპექტული კარტოგრაფირება

ნინო ხარებავა

ელ. ფოსტა/E-mail: nino.kharebava@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

თბილისი უძველესი ქალაქია. ოდითგანვე ბუნებრივად იყო ტყით დაფარული. დღეს კი ვითარება კარდინალურად შეცვლილია, ფრაგმენტულად შემორჩენილია უძველესი ნარგავების ნაწილი და ხელოვნურად გაშენებული ტყის მცირე მასივები. შეინიშნება მწვანე საფარის დაზიანება-განადგურება, რაც თავის მხრივ, პრობლემათა მთელ კასკადს წარმოქმნის. მისი გადაჭრა კი, ერთი შეხედვით, მარტივია (ხე-მცენარეთა დარგვა და გამწვანებელი კვარტლების შექმნა), თუმცა მეორე მხრივ, განაშენიანებული ფართობი სულ უფრო მზარდი ტენდენციის ფონზე, დღემდე მაინც მოუგვარებელ პრობლემად რჩება. მისი დროული გადაჭრა მნიშვნელოვანია ადამიანთა ჯანმრთელობისათვისაც.

ნაშრომში კვლევის შედეგად წარმოდგენილია თბილისისა და მისი მიდამოების ტყის საფარის რეტროსპექტული კარტოგრაფირება, GIS - ტექნოლოგიების და დისტანციური ზონდირების გამოყენებით. შესწავლილი იქნა ტყის საფარის დინამიკა XIX-დღემდე თბილისისა და მის მიდამოებში. კვლევა დაეფუძნა უპირველესად რეტროსპექტული კარტოგრაფირების მეთოდსა და GIS - ტექნოლოგიებს, ამასთან ნარატიული წყაროების შესწავლას ურთიერთშედარებასა და იდენტიფიკაციას, ხოლო 80-იანი წლებიდან დღემდე მომხდარი ცვლილებების ანალიზისა და კოსმოსური სურათების დეშიფრირების საფუძველს.

ერთიანი კარტოგრაფიული საფუძვლის შედგენის შემდეგ მოხდა სხვადასხვა პერიოდის რუკებისა და გეგმების დაკავშირება ამ საფუძველთან; ტყის საფარის არეალების დაზუსტება და კარტოგრაფირება. ამავე საფუძველს დაუკავშირდა მწვანე პარკების, კერძო ეზოებში შემორჩენილი ცალკეული ასაკოვანი ნარგავები, თბილისის გენგეგმებსა და სამეცნიერო ნაშრომებში არსებული მონაცემები და სხვა.

ისტორიული (მ.შ. კარტოგრაფიული) წყაროების ანალიზის საფუძველზე შედგა ტყის საფარის რუკები დროის სხვადასხვა პერიოდისათვის. გარდა ამისა, მოხდა ცალკეული მწვანე პარკების პასპორტიზაცია (მდებარეობა, ფართობი, სახელობა და სხვ.), რომლის საფუძველზეც შეიქმნება რიგი თემატური რუკები.

შედგა თბილისის მიდამოების ტყის საფარის დინამიკის ამსახველი რუკები და ჩატარდა მათი კომპლექსური ანალიზი, შემუშავდა ძველ კარტოგრაფიულ წყაროებში არსებული მონაცემების თანამედროვე საფუძველთან დაკავშირების ხერხები. ამასთან მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს თბილისის ურბანული დაგეგმარების მიმართულეებით. ხელი შეუწყო თბილისში არსებული მწვანე საფარის მდგომარეობის, მასთან დაკავშირებული პრობლემების უკეთ დანახვას, აღქმასა და გაანალიზებას. ეს კი თავის მხრივ, დაეხმარება

გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები უძველესი მცენარეების შენარჩუნებისათვის, ტყით განაშენიანებისა და პარკების, სკვერების, რეკრეაციული ადგილების დაგეგმარებისათვის, რადგან ჯანსაღი გარემოს შექმნა ადამიანის ჯანმრთელობის უპირველეს პირობას წამოადგენს და ქალაქის რაციონალურ განვითარებას გულისხმობს.